№ 97
პარასკევი, 5 მაისი, 1900 წ.

187 —1900

№ 97
პარასკევი, 5 მაისი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ქ. ქუთაისში
### ექიმი გაბრ. იოს.
## გოკიელოვი

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ.
ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 20.
(40—140—34)

## ქუთაისის ჭაჭვი-ცემულ საზოგა-დოების საყურა-დღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაკვისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—5.—4)

## პირველი კერძო სამკურ-ნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოლსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი აოი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთეჩს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საოლსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

### შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ყირარდისა და გირგიდოვის მაღაზიებმა—სამი წყვილი ჩულქი, სამი წყვილი ფეხსაცმელი, 15 ცალი საყელო, სამი პერანგი და სამი ლამფის დასადგმელი კლიონკა. ეს ნივთები სოფიო ალექსანდრეს ასულის ბუჭყიაშვილის თაოსნობით არის შეკრებილი.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 5 მაისს, ტფილისიდგან მიდის კნ. მარიამ ალექსანდრეს ასული შერვაშიძისა, რომელსაც ტფილისში ცხოვრების დროს მრავალი საკეთილო და საქველ-მოქმედო საქმე გაუკეთებია. იმედია, ტფილისი ამ მისს მრავალ-გვარ შრომისათვის მუდამ კეთილადა და მადლობით მოიგონებს. ბოლოს წლებში კნეინა დედათა მესამე გიმნაზიის მზრუნველად და დედათა საქველ მოქმედო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად იყო.

*** ოთხშაბათს, 3 მაისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა რიყეზედ მდინ. მტკვრის პირად კედლის ამოყვანის საქმე და სცნო. რომ აღნიშნულს ადგილზედ კედლის უბრალოდ ამოყვანა წყალდიდობისაგან მოსალოდნელ უბედურებას მცხოვრებთ ბევრად ვერაფრად აიცილებს. ამისათვის გამგეობამ დაადგინა: ამოაშენოს რიყის ქუჩაზედ წყლის ნაპირის კედელი, მხოლოდ იმ გეგმაზედ, რომლის პროექტიც შემუშავებული იყო აწ გარდაცვალებულის ინჟინერის მელიქ-ატამანოვის მიერ. ამ საქმისთვის გამგეობას დასჭირდება სულ 150,000 მან. ეს ფულები გამგეობამ უნდა ისესხოს ქალაქის იმ თანხიდგან, რომელიც მთავრობისაგან ქალაქის საყასპოს სადგურის ასაშენებლად და მოსაწყობად არის ნასესხები. ამას გარდა, რადგანაც საყასპოს აშენება 5 წელს გაგრძელდება, გამგეობას შეუძლიან ნასესხი ფულები შეავსოს წვრილ-წვრილად ყოველ წლობით 30,000 მან. გადადებით. თუ ამ გეგმით ამოშენდება კედელი, ქალაქს დარჩება 4,000 ოთხ. კ. საჟ. თავისუფალი ადგილი ნახევარ მილიონად ღირებული.

*** ორშაბათს, 8 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს შენობაში საღამოს 8 საათზედ კავკასიის იურიდიულ საზოგადოების სხდომა მოხდება. სხვა საგანთა შორის სხდომაზედ ნ. ნ. მაქსიმოვი წაიკითხავს შემდეგს რეფერატს: „სასჯელთა თანასწორობა. ჩვენი კატორგა“. სხდომის შეიძლება გარეშე პირნიც დაესწრნენ.

## ფელეტონი

### მეჭორეებს

რა ხოხბები ხართ და თავი
რა ღვაწლით მოგიწონიათ!
გისმენდენთ, ილაკლუკებდით,
მეტი რა საქმე გქონიათ?
მაგრამ, როდესაც ძაღლები
საყეფმა აიყოლია;
ქარვანმა ისე იარა,
თითქოს არ გაუგონია.

ბაჩანა

### შიათა გლოვის თვე მაჰარრამი (აშურა)

ვიდრე შევუდგებოდეთ იმ სამწუხარო დღესასწაულის აღწერას, რომელიც შია-სპარსელთ უკვე დაიწყეს ამ თვეში, გვსურს მკითხველი მოკლედ გავაცნოთ იმ ნამდვილ ისტორიულ ამბავთან, რომელმაც დაჰბადა ხალხში ქვემო აღწერილი სარწმუნოებრივი მისტერია.

მუჰამმადის სიკვდილის დღიდგანვე (7 თიბათ. 632 წ.) დაიწყო მის დაახლოვებულთა შორის უთანხმოება იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მის კანონიერ მემკვიდრედ.

პირველ ორ ქალიფის დროს, აბუბეკრისა და ომარისა, ისლამი სწრაფად გავრცელდა, რაც არ შეიძლება ითქვას მესამე ქალიფის, ოსმანის, დროს შესახებ. მეოთხე ქალიფად ამოირჩიეს მუჰამმადის სიძე და ბიძაშვილი ალი; სწორედ ამ დროიდგან დაიწყო დიდი არეულობა მაჰმადიანთა შორის. დამასკის მმართველი, მოავი, აღემართა ალის წინააღდეგ, გაიმართა ომი, რომელშიაც იძლია მოავი. ალის სიკვდილის შემდეგ მოავი ეომა მის შვილს იმამ-ჰასანს, სძლია ის და ქალიფობაზედ უარი ათქმევინა.

მოავის სიკვდილის შემდეგ,—მაშინ აღარც ჰასანი იყო ცოცხალი,—გამოაცხადა თავი ქალიფად მისმა შვილმა იაზიდამ. რადგანაც მას სურდა დაემკვიდრებინა თავისის გვარისათვის ქალიფობა, ამისთვის მოიწადინა ჩამოეცალა გზიდგან ყველა ის მეტოქე, რომელთაც-კი იმედი ჰქონდათ ქალიფობისა. იაზიდამ, სხვათა შორის, მოსთხოვა ბეათი (ფიცი) იმამ-ჰასანის ძმას, იმამ-ჰუსეინს. მან ბეათი არ მისცა და ჩუმად გაიპარა მედინიდგან მექქაში. მექქაში დიდხანს დარჩენა მისთვის შეუძლებელი შეიქმნა, რადგან იაზიდას ტახტზედ ასვლის ხმა მთელს არაბეთში გავარდა. ზოგნი მომხრენი ჩამოეცალნენ ჰუსეინს შიშისაგან. ამ დროს ქალაქ ქუფაში მცხოვრებთ მიიწვიეს ჰუსეინი თავიანთ ქალიფად. იმისდა მიუხედავად, რომ დაახლოვებულთ არ ურჩიეს, ჰუსეინი მაინც გაემგზავრა ქუფასკენ. მან იგრძნო შეცდომა, დააპირა უკან დაბრუნება, მაგრამ გვიანღა იყო: გზები ყოველ მხრივ შეკრული დაუხვდა; იგი დაებანაკა ქერბალაიში, მდინარე ეფრატის ნაპირზედ. აქ მიუხდა მას ჯარის უფროსი ომარი 4,000 მეომარით და მოსთხოვა დამორჩილებოდა იაზიდას. ჰუსეინმა უარი განაცხადა. ქუფის ახალ მმართველის უბეიდულაჰის ბძანებით ჰუსეინს წყლის გზა შეუკრეს.

მაჰარრამის ცხრას, ჰიჯრის 61 წ., მივიდა ქერბალაიში ვინმე შიმრი და გადასცა ომარს უბეიდულაჰის ბძანება, რომლის ძალითაც, ვინიცობაა ჰუსეინი კიდევ უარს განაცხადებდა და ბეათს არ მისცემდა, ჰუსეინი და აგრეთვე მისი მომხრენი უნდა მოეკლა. ჰუსეინმა უარი სთქვა, ხოლო სთხოვა ბრძოლა გადაედოთ მეორე დღემდე და ამის თანხმობა მიიღო. ჰუსეინმა შემოიკრიბა მომხრენი, დალოცა ყველა, გამოუცხადა მადლობა და სთხოვა დაენებებინათ მისთვის თავი. „თქვენ აქ დამნაშავენი არა ხართ, დაათავა მან სიტყვა, მტერს მარტო ჩემი სისხლი უნდათ“! რომ არ შერცხვენოდათ, ჰუსეინმა უბძანა გაექროთ სანათურები. ამის შემდეგ ბევრნი ომარისკენ გადავიდნენ, ჰუსეინთან-კი დარჩა მარტო 72 კაცი.

10 მაჰარრამს მან დალოცა ყველა და მისცა რიგი თავისს მცირე ჯარს. ვიდრე ომი დაიწყებოდა, ჰუსეინმა ითხოვა სიტყვის წარმოთქმის ნება. გძელ სიტყვაში მან ის აზრი გამოსთქვა, რომ მე შვილის-შვილი ვარ მუჰამმადისა, რომლის სარწმუნოებასაც აღვიარებო, და სთხოვა არ დაენთხიათ ცუდ უბრალოდ მისი სისხლი. „რას მემართლებით,—დაამთავრა მან სიტყვა,—მითხარით, ვისთვის რა დამიშავებია? კორანის სიტყვა არ დამირღვევია, შარიათის (კანონი) წინააღმდეგ არ წავსულვარ; მოვსულვარ ქუფელების თხოვნით და თუ მათ აღარ ვსურვარ, ნება მომეცით დავბრუნდე უკან, მე მზად ვარ გადავიკარგო სამშობლოდგანაცკი“... ამ სიტყვამ გავლენა იქონია მარტო ერთ ჯარის უფროსს—ჰურრზე, რომელმაც მიატოვა ომარი და გადავიდა ჰუსეინისაკენ. ბრძოლაში დამარცხდნენ ჰუსეინის ყველა მომხრენი, დამარცხდა თვით ჰუსეინიც. ბრძოლის ველიდგან ჩვიდმეტჯერ დაბრუნდა ჰუსეინი თავისს კარავში დედაკაცების სანუგეშებლად. ერთხელ, როდესაც იგი დაბრუნდა ომში, მან აიყვანა ხელში თავისი ექვსის თვის შვილი და მტერს შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „დამნაშავე მარტო მე ვარ და ამისთვის არ მასმევთ წყალს; ამ უსუსურ ბავშვს ხომ არა დაუშავებია-რა თქვენთვის, ამას მაინც დაალევინეთ წყალი“. პასუხად მის შვილს ყელში ისარი მოხვდა და მაშინვე სული განუტევა.

იმამ-ჰუსეინის მომხრეებს მოჰკვეთეს თავები და გაუგზავნეს დამასკში იაზიდას. ჰუსეინისთვის თავის მოკვეთა შიმრის მეტმა ვერავინ გაბედა,

*** ტფილისის კომენდანტმა ი. ნ. რეიტერმა ტფილისის მოურავს აცნობა გუშინ, რომ ქალაქის მოურავის შუამდგომლობის თანახმად კავკასიის მხედრობის დროებით უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ ნება დაგრთოთ კვირაში ორჯელ ალექსანდრეს ბაღში მუსიკა უკრავდეს, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ თითოეულს მემუსიკეს ქალაქმა მისცეს ჯილდო.

*** კავკასიაში მეურნეობის შესასწავლად ამ მოკლე ხანში კავკასიაში ჩამოვა გერმანიის მთავრობის მიერ გამოგზავნილი მსწავლული ბორხარდი.

*** როგორც შევიტყეთ, ავჭალის კონკა ბელგიის უსახელო საზოგადოებას შეუძენია. აღნიშნული საზოგადოება და კონკის ამხანაგობა ნასყიდობის შესახებ უკვე შეთანხმებულან და დაწვრილებით პირობებს ნასყიდობისას მალე ქალაქის გამგეობასა და საბჭოს წარუდგენენ.

*** სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილებაში დაგირავებულ მამულების განმეორებითი საჯაროთ ვაჭრობა დანიშნულია 30 მაისისათვის.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს წინადადება მიუცია ქალაქის მოურავისათვის, რადგანაც სასურველია ქალაქმა თავისი საყასბოები იქონიოს, ქალაქის საბჭოს წარუდგინეთ გადასაწყვეტად, რომ ქალაქის განაპირა ადგილებში, მაგალითად დიდუბესა, ვერასა, მამა-დავითსა, მისს მიდამოებსა, მე-5, 6 და 9 ნაწილებსა და ავჭალის ქუჩაზედ საყასბოები გავხსნათ და ხორცი ხარისხებად დავყოთ და ფასი შესაფერად შევაწეროთო.

*** 1899 წლის განმავლობაში ტფილისის საბაღოსნო სკოლაში უსწავლია სულ 71 ყმაწვილს; სკოლას ხარჯი ჰქონია 23,728 მან. 5 კაპ. იმავე წლის განმავლობაში ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში ირიცხებოდა 75 ყმაწვილი; სკოლის ხარჯი იყო 16,747 მან. 69 კაპ. საქარის სანერგესთან არსებულ პრაქტიკანტთა სკოლაში 1899 წელს იყო 20 მოსწავლე; სკოლაზე 1440 მანეთი დახარჯულა.

*** კავკასიის რკინის გზების უფროსი, ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი, როგორც ხმა ისმის, ამ თვის გასვლამდე არ ჩამოვა, რადგანაც 15 მაისიდგან პეტერბურგში რკინის გზათა უფროსების კრებაა დანიშნული.

*** გზათა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ კავკასიის ოლქის ადგილობრივ გზათა სამმართველოსთან შესდგეს კომისსია, რომელმაც ამ უწყების ტეხნიკოსები უნდა გამოსცადოს ხოლმე.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათა ნორმალურ წესდების შემუშავებას შესდგომია. წესდებაში აღნიშნული აქმნება როგორც ის მოთხოვნილებანი, რომელთაც ამ დაწესებულებათაგან სამინისტრო თხოულობს, აგრეთვე ისიც, თუ აღნიშნული დაწესებულებანი რა რიგ უნდა მოეწყოს უკეთესად.

*** „მთავრობის განკარგულებათა და კანონდებათა საკრებულში“ დაბეჭდილია, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ სადგურ ფასანაურში არსებული შოსეს გზის საბაჟო გაუქმებულიაო.

*** რუსეთის მეფუტკრეობის საზოგადოებას განუზრახავს მომავალს 1901 წელს სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრება მოიწვიოს.

*** ართვინის ზეთის ხილის სანერგის გამგეს თანაშემწედ ბ-ნი ბალბუშკო დაუნიშნავთ, რომელსაც სწავლა ჯერ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში დაუმთავრებია და შემდეგ გერმანიაში განუგრძია.

*** რადგანაც სოფლიდგან გასასყიდად საქონლის ჩამომრეკთ აღკრძალული აქვთ ქალაქში დააყენონ ხოლმე საქონელი, ამის გამო განუზრახავთ ქალაქის ხარჯზედ საგანგებო საქონლის დასაყენებელი ბაკები ააშენონ, სადაც გასყიდვამდე საქონელს შეინახავენ.

*** რადგანაც ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთ ამ გაზაფხულზედ მთავრობისაგან სათესლე ხორბლის შესაძენად სესხი ვერ მიუღიათ, აღნიშნულ მაზრის ზოგიერთ სოფლებს ნებართვა მიუღია თესლის შესაძენად სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან გაიტანონ დროებით სესხი.

*** მდ. მტკვარი თან და თან მატულობს. მადათოვის კუნძულის ზემო-კუთხე ნახევრამდე წაიღო.

*** როგორც ქუთაისიდგან გვწერენ, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება, რომელიც ამ მაისში უნდა მომხდარიყო, მთავრობის მხრივ ახალ განკარგულებამდე აღარ შესდგება. მიზეზი ამისი ამ ბოლოს დროს რევიზიაა.

*** დ. ხონი. აქ არსებულ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წარსული წლის ანგარიში, რომელიც წესდების ძალით უნდა გამოცხადებულიყო არა უგვიანეს მარტის თვისა, ჯერაც არ გამოცხადებულა. საზოგადოებაში ხმა დადის, რომ ანგარიშები ვითომც ძალიან არეულ-დარეული იყოს. საკვირველია, საბჭოს აქვსი წევრი და ერთი მზრუნველი ამ ბანკისა რატომ არაფერს აცხადებენ, რად არ ახსოვთ საბჭოს წევრთ, ან უფრო კიდევ მის მზრუნველს, რომ ერთი ასეთი ბანკი, რომელიც ეხლანდელი ბანკის დაარსების წინათ არსებობდა აქ, სწორედ ასეთის უყურადღებობით გაუქმდა.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, სახელმწიფო ქონებათა მმართველის ბ-ნ ზელენის თავმჯდომარეობით, 19-ს აპრილს კრება ჰქონდა.

კრების უმთავრესი საგანი იყო მოწერილობა, რომლითაც ქ. გუბერნატორი, ბ-ნი გერშელმანი აუწყებდა განყოფილებას, რომ უმაღლესმა მთავრობამ მოუხერხებლად სცნო დაეკმაყოფილებინა განყოფილების შუამდგომლობა, რათა საერო გადასახადიდგან მისცემოდათ საშვალება ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის იმ წესით მოსაწყობად, როგორსაც მიწად-მოქმედების სამინისტრო თხოულობდა.

განყოფილება დიდის იმედით შესცქეროდა ამ შუამდგომლობას, რადგანაც სამეურნეო სასწავლებლის მომავალი ნაყოფიერება სწორედ რომ ამ შუამდგომლობის შედეგზედ იყო დამოკიდებული. უარის ქაღალდმა იგი მეტად დაალონა და სხდომა მანამდე გადასდო, ვიდრე თვით გუბერნატორისათვის მოსახერხებელი არ იქმნება თავმჯდომარეობა გასწიოს: განყოფილებას ის იმედი-ღა შერჩენია, ეგებ გუბერნატორმა მოსძებნოს რაიმე სახსარიო.

რამდენად გაჭირვებულია ამ ჟამად მთელის გუბერნიის ეს ერთად-ერთი სამეურნეო სასწავლებელი, იქიდგანა სჩანს, რომ კრებაზედ ასეთი საერთო აზრი გამოითქვა: თუ ყოველი სხვა წყარო დაგვიშრება, ვეცადოთ და სკოლის სახლი და ეზო-გარემო დავაგირაოთ, დავაწინდროთ და ამით მაინც მოვახერხოთ საჭირო და სამინისტროსაგან დავალებული ცვლილება სკოლაშიო.

ამასთანავე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის გასაფრთხილებელი წინადადება, რომელმაც გამოიწვია ზემოხსენებული, ამაოდ ჩავლილი შუამდგომლობა:

„Департаментъ призналъ необходимымъ назначить двухгодичный срокъ для приведенія ея *) въ порядокъ и правильной постановки въ ней учебнаго дѣла, съ тѣмъ, что если отдѣлъ въ указанный срокъ не исполнитъ возложенной задачи, то школа будетъ принята министерствомъ въ свое исключительное завѣдываніе“ (14 февраля 1899 года № 96,990).

ვნახოთ, შემდეგი კრება, რომელიც განყოფილების პრეზიდენტის, ბ-ნ გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდება, რა წყაროს აღმოაჩენს საქმის საშველად.

Amicus

*) школы.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ბანოჯა,** (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი თუმცა მხოლოდ ორის-სამის ვერსტით არის დაშორებული ქუთაისს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ძალიან შეწუხებულია უგზოობის გამო. ავადმყოფი რომ ჰყავდეს, მკურნალის მოყვანა ქუთაისიდგან შეუძლებელია. ექიმები ქუთაისიდგან აქ ძალიან იშვიათად დადის და, თუ ცუდი ამინდი იქმნა, კარგს ცხენსაც გაუჭირდება აქაურ ტალახებში გავლა, რომ ქუთაისიდგან მკურნალი მოიწვიონ. ცუდს ამინდში ხომ სულ არ წამოვა და რომ წამოვიდეს, რამდენსაც ითხოვს, გლეხი ვერ შესძლებს იმის მიცემას. ასეთს უკიდურესს მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ამავე სოფლის შვილმა, ბ-ნმა მ. ბ., რომელმაც გზის გაყვანის ნება-რთვა აიღო მთავრობისაგან, მიიწვია ტეხნიკოსები თავისის ხარჯით და გზის გეგმა შეადგენინა. ეს გზა შეუერთდება ს. წყალტუბოს, ახანოების გზას. მაზრის უფროსის განკარგულებით ხალხი გამოსწვიეს და მუშაობა გაჩაღდა ახალის გზის გასაკეთებლად. დიდად მოხარულნი ვართ, რომ შუა სოფელში მშვენიერი გზა გაგვიკეთდება და გაგვიადვილდება ქუთაისში მისვლა-მოსვლა. მაგრამ ყველგან ურევია თითო-ოროლა მშვიდობიანობის დამრღვეველი და გაიძვერა კაცი. ჩვენს სოფელშიაც გამოჩნდნენ ამისთანები, რომლებმაც შეაწუხეს ბ-ნი გუბერნატორი და მაზრის უფროსი თხოვნებით,—დავიღუპენით, ახალის გზის გაყვანით გვენგრევა სახლები და მარნებიო. ეს საჩივრები მოკლებულია სიმართლეს, არც სახლები და არც მარნები არავის არ ენგრევა. სულ ორის, ან სამის გლეხის ეზო იჭრება, მაგრამ ამით დიდი ზარალი არ მოსდით.

იმის მაგიერ, რომ მადლობა გადაუხადონ ამ გზის გამყვანსა და საქმის მეთაურს, ზოგიერთა ვაჟბატონები ლანძღვა-გინებით იხსენიებს და ამბობენ,—შვილი როგორ უნდა გამოზარდო რუსეთის მაღალ სასწავლებელში, თუ ასეთ საქმეებს შემოიტანს სოფელშიო.

მეზობელი

## ობლების საქმე გურიაში

(წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან)

(დასასრული *)

1895 წლის დეკემბერში მატარებელმა გასრისა ჩვენის საზოგადოების

*) იხ. „ივერია“ № 96.

---

ამისთვის ყველაზედ საზიზღრად მას იხსენიებენ შია-სპარსელები. დედაკაცები ტყვედ გაჰგზავნეს დამასკში.

ამ ისტორიულ შემთხვევას დიდხანს არავინ აქცევდა ყურადღებას, ხოლო ბოლო დროს დაიწყეს სპარსელებმა ქერბალაიში სიარული სარწმუნოებისთვის თავ-გადადებულთა თაყვანის საცემლად.

მე-XV საუკ. სპარსეთის მეფის შაჰ-ისმაილის დროს, მაჰმადიანები ორ ნაწილად გაიყვნენ: უმრავლესს ეწოდებოდა სუნა, უმცირესს—შია, პირველს ეკუთვნიან თურქები, მეორეს—სპარსელები. რადგანაც უკანასკნელნი ალის ნამდვილ მემკვიდრედ მუჰამადს სთვლიან, ამიტომ ზემოაღწერილ ისტორიულ ამბავს მათ თანდათან დიდი მნიშვნელობა მისცეს. ამ შემთხვევამ ბევრნაირი პოეზია დაჰბადა ხალხში და ბევრნაირადაც შეიცვალა იგი. აქ მოკლედ აღვწერთ მარტო იმ სარწმუნოებრივ მისტერიას, რომელსაც წარმოადგენენ ხოლმე ჩვენის დროის შია-მუსულმანები მაჰარრამის თვეში.

მაჰარრამის პირველ რიცხვიდგან სპარსელები იწყებენ მეჩეთებში თავყრას, სადაც უმთავრესნი მომქმედნი არიან „მარსიახანები“ *) ისინი აქებენ 10 მაჰარრამს დახოცილთა მოქმედებას. ის მარსიახანი უკეთესია, რომელიც, უფრო ძალიან აატირებს ხალხს.

ეს უქმე იწყება „შახსეი-ვახსეით“ **). სპარსელები დგებიან მწკრივად ვაკე ადგილას, მარჯვენა ხელში იჭერენ ხანჯალს, ანუ ხმალს, ან გრძელს ჯოხს, მარცხენას ავლებენ გვერდში მდგომ ამხანაგს სარტყელში; მერმე იწყებენ გვერდზედ თანასწორის ნაბიჯით სიარულს და მაღალის ხმით ყვირილს: „შახსეი-ვახსეი“, ანუ—„ჰასან ჰუსეინ!“ „შახსეის“ თქმაზედ ხანჯალს სწევენ მაღლა, „ვახსეის“ თქმაზედ—ძირს, ასე ჰყვირიან და მოძრაობენ თითქმის ორის-სამის საათის განმავლობაში. ამ ყვირილსა და მოძრაობას ხან და ხან ერთს წუთს შეაჩერებს ხოლმე მარსიახანის სიტყვები. შემდეგ მიდიან მეჩეთში, სადაც კარგის ხმის მქონე იწყებს სამწუხარო ლექსების მღერას, მხოლოდ სხვები-კი ბანს აძლევენ და მაგრად იცემენ ხელს ტიტველა მკერდზედ. ამას ჰქვიან „სიზა-ზინ“, ე. ი. გულში ცემა შემდეგ უგზავნიან ათას წყევლას იაზიდას, უბეიდულლაჰს და სხ. დაბოლოს ქებას უძღვნიან მუჰამმადს, ალის და სხ. და დაიშლებიან მეორე დღემდე. ესევე განმეორდება ხოლმე ცხრა დღის განმავლობაში.

მაჰარრამის მეათე დღეს დაღონებული სპარსელები იკრიბებიან ფართო მინდორზედ. აქ ფანატიკოსები „შახსეი-ვახსეის“ ძახილით იჭრიან გალესილის იარაღით მოპარსულ თავებს, საიდგანაც თქრიალით გადმოსდით სისხლი; ზოგნი იცემენ მუშტს გულში, სახეში, რკინის ჯაჭვებს ირტყამენ ზურგზედ და იგლეჯავენ ხორცს; იყრიან ხორცში დანებს, ხანჯლებს. იდებენ კლიტეებს და სხ. ვისაც არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს, რა საშინელ სურათს წარმოადგენს მათი საქციელი. ადამიანს არ შეუძლიან გულ-გრილად უყუროს ამ სურათს.

ბოლოს მინდორზედ გამოდიან მსახიობნი, რომელთაც უნდა წარმოადგინონ იმამ-ჰუსეინს, მისის ძმის ჰაზრათ-აბაზის, შვილის ალი აქპარისა, ძმის წულის ქასიმს, დების ზეინაბა და კულსუმას, ცოლის ლეილას, ქალიშვილების ფატმას და საქინას როლები. იმ ადგილის ცოტა მოშორებით, სადაც უნდა მოხდეს ბრძოლა, ცხენებზედა სხედან წითელ ტანისამოსით გამოწყობილნი სხვა მსახიობნი, რომელთაც უნდა წარმოადგინონ ომარის, შიმრის და სხ. მოწინააღმდეგეთა როლები.

პირველად იწყებს ჰუსეინის ქალი საქინა, რომელსაც სუნთქვა უჭირდება, რადგანაც სამი დღეა წყალი არ დაულევია. ამის გაგონებაზედ ჰაზრათ-აბაზი საომარ იარაღს იღებს და ჰუსეინის ნება-რთვით გადის საომრად. იგი მამაცად იბრძვის, მაგრამ მტერთა რიცხვი სძლევს და მძიმედ დაჭრილი ვარდება ცხენიდგან. მერე მიდის ალი-აქპარი თავისს მამასთან, ჰუსეინთან, და მუხლ მოდრეკით ეხვეწება მისცეს მიძის სისხლის აღების ნება. მამის შემდეგ ნებართვასა სთხოვს დედას. მართლა-და გაქვავებული გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ დედის სიტყვებმა თვალზედ ცრემლი არ მოჰგვაროს. „საყვარელო შვილო,—ეუბნება დედა,—ჩემო თვრამეტის წლის ამაგო! ნუ თუ ამ დღისთვის გაგზარდე? რათ მტოვებ, შვილო, უცხო ქვეყანაში მტერთა შუა? ალი! ალიჯან! შვილო ალი! ამ თვრამეტს წელიწადში შენის ყურებით ვერ გავძეხი; მოდი ერთი კიდევ ჩაგხედო თვალებში, რომ უფრო კარგად დაგიხსომო. ალი! დედაშენი ამ უბედურებას ვერ აიტანს. ღმერთო! ნუ აჩვენებ სხვა დედას ამისთანა შავ-ბნელ დღეს ყველა დედისთვის ჩემი ტანჯვა კმარა!“.. მერე თავს დავარცხნის, ახალს ტანისამოსს ჩააცმევს და საომრად გაისტუმრებს. ალიც მამაცად იბრძვის, მაგრამ ისიც მძიმედ დაკოდილი ეცემა ძირს. ბოლოს გადის საომრად თითონ იმამ-ჰუსეინი, რამდენჯერმე სტოვებს ბრძოლის ველს, ბრუნდება უკან დედაკაცების სანუგეშებლად, რამდენიმე ალაგას დაიჭრება და ცხენიდგან ჩამოვარდება. ამითი სრულდება წარმოდგენა. წრეულს ეს წარმოდგენა 27 აპრილს იყო.

მ. ილ. ჯაში

*) მარსიახანი წარმოსდგება არაბულის სიტყვიდგან—„მარსია“—სამგლოვიარო ლექსი და სპარსული „ხანდან“-იდგან მომღერალი, ამ ნაირად ჰნიშნავს სამგლოვიარო ლექსის მომღერალს.

**) ეს სიტყვები შემოკლებული „შაჰ-ჰუსეინ! ვაი, ჰუსეინ!“ არის, ე. ი. მეფევ ჰუსეინ! ვაჰ, ჰუსეინ! (ვაჰ შორისდებულია).

გლეხი სილევან ჩ—ძე. რადგან ის დედის-ერთა იყო, ამიტომ საზოგადოებას გამოაკლდა ერთი შეძლე და დამხმარე კომლი. დარჩა მოხუცი დედა, ცოლი და ერთი შვილი. რკინის გზის მმართველობამ დაუნიშნა ბედისაგან დაჩაგრულებს წლიურად 180 მანეთი. გარდაცვალებულის ნათესავებმა ობლისა და ქონების მზრუნველად აირჩიეს ობლის დედა. მოხუცებული მალე დაკარგულ შვილს გაჰყვა უკან. ობლის დედა სიტყვით მუდამ გაიძახოდა: ქმრის ოჯახს ვერ მოვშორდებიო. შარშან, 29 ივნისს, უცებ მამამ და ძმამ მოჰგლიჯეს ოჯახს ქვრივიცა და ობოლიც და თავიანთ სახლში წაიყვანეს. ამ ამბავმა გარდაცვალებულის ნათესავებში ეჭვი დაჰბადა, ვაი თუ მოვტყუვდითო და მამასახლისს მოსთხოვეს, ეს ამბავი საზოგადოებისთვის ეცნობებინა და ობლის ქონებაც ენგარიშნა მზრუნველებთან ერთად. მალე გამოირკვა, რომ ობლის ქონების საქმე ვერ ყოფილა კარგად, რადგანაც დედა ყველაფერში მამისა და ძმის მორჩილი იყო, ვერაფერში წინააღმდეგობას ვერ უბედავდა, და 20 ივლისს საზოგადოებამ გამოსცვალა დედა; ობოლს ახალი მზრუნველი აურჩიეს. განაჩენს დამსწრეებმა ხელი მოაწერეს, სულ 173 კომლმა (მთელს საზოგადოებაში 210 კომლია). თუმცა განაჩენი ერთობ კანონიერი იყო, მაგრამ სისრულეში მოყვანა-კი არ აღირსეს მზრუნველებმა და მამასახლისმა. რა-კი აირ-დაირია საქმე, ობოლს ქომაგები გამოუჩნდნენ და ეს ამბავი აცნობეს ბ-ნს მომრიგებელ შუამავალს. თ-დმა ტ. დ. ნაკაშიძემ ორი მოწერილობა გამოჰგზავნა ამ საქმის შესახებ; ორივეში მამასახლისსა და მზრუნველებს სწერდა ქონება ენგარიშნათ და საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ. პირველი მოწერილობა სწორედ ოთხი თვე იდო სოფლის კანცელარიაში. ამ ხნის განმავლობაში სოფელ-სოფელ „ხმები“ იკრიბებოდა იმათ მიერ, ვისაც ეს ესაჭიროებოდათ. 21 ნოემბერს საზოგადოებას წარედგინა ანგარიში-კი არა, არამედ, სოფლის ჭორები და არც აღარაფერი გაკეთებულა. უპატრონოდ მიგდებული ქონება ამ ხნის განმავლობაში მთლად გაოხრდა. ეს ამბები მოკლედ „ივერიაშიაც“ იყო მოხსენებული და კერძოდ მთავრობასაც ეცნობა ობლის მოსარჩლეების მიერ მირთმეულ თხოვნაში. ამან მთლად დაუკარგათ კეთილ-გონიერება ზოგიერთ ვაჟბატონებს და რითაც შეეძლოთ, ისე ამხედრდნენ ობლის ქომაგების წინააღმდეგ. ყველას ეუბნებოდნენ: „ამა და-ამ კაცმა გაზეთში ქვეყანას თავი მოგვჭრაო“. ალბად ჰგონიათ, რომ მთელს ჩვენს სოფელს მხოლოდ ოთხი-ხუთი გაიძვერა შეადგენს!

მეორე მოწერილობამ როგორც იყო გასჭრა და 23 დეკემბერს ანგარიში განხილულ იქმნა. ვალაპარაკოთ ციფრები:

სილევან ჩ—ძის სიკვდილიდგან ქვრივის მიერ ოჯახის დატოვებამდე სამს წელიწადსა და 7 თვეში გაყიდულია სამი ნაჭერი მიწა (25 მ., 33 მან., 30 მ.) სულ 88 მან.; მიღებულია ტყის ბაჟი 13 მ.; მის უმაღლესობას პრინცს ოლდენბურგელს გაუგზავნია 100 მან.; რკინის გზას გამოუგზავნია გარდაცვალებულის დარჩენილი ჯამაგირი 50 მან.; წლიურად 180 მან. სამ წელიწად-ნახევარს შეადგენს 630 მანათს. დგება სულ 881 მანათი; ამას გარდა აღებულია დარჩენილი ვექსილით ფული; აღარ არის ხარი, თოფი, წვრილი ნივთები, სამივე ნაჭერი მიწა გაყიდულია ნახევარ ფასად და სხვა. არც ერთი კაპეიკი ობლის სახელზედ შენახული არ არის! მოვლაცა და პატრონობაც სწორედ ასეთი უნდა! თუმცა ანგარიშმა ეს გვაჩვენა, თუმცა ეს საშინელი უთავ-ბოლობა და უდიერობა ცხადია (უნდა ვიცოდეთ, რომ ს. ჩ—ძე შეძლებული იყო, ოჯახ-მამულიც კარგი გაწყობილი დარჩა), მაგრამ ობლის ბედის გამგეებმა 26 დეკემბერს საზოგადოებას გამოუცხადეს: „ჩვენ ყველაფერს სწორედ ვცნობთ და გთხოვთ მზრუნველად ხელ-ახლად დედა აირჩიოთო“. ბ-ნ მომრიგებელ შუამავლის მოწერილობაში-კი თქმულია: „საზოგადოებას გამოუცხადეთ აირჩიონ ღირსეული, საიმედო, პატიოსანი მზრუნველიო“. თუ მომხდარა, თუ გაგონილა სადმე კანონის ასე გადალახვა და ფეხით გათელვა? ხუთის თვის ნაგროვებმა ხმებმა 121 შეადგინა და არჩეულ იქმნა მზრუნველად გამოცდილი დედა! უვარგისი და 173 ხმით გამოცვლილი ისევ ვარგებული შეიქმნა!

ს. ხრიალეთის (ობლის სოფელია) ობოლთა მზრუნველი გლეხი ალექსანდრე ჩხაიძე მეზობლებს აწუხებდა: „ქონება სულ გაფლანგულია, ხმა ამოიღეთო“. ამ ზამთრიდგან-კი გაიძახის: „ყველაფერი სწორიაო“! ამბობენ ამ საქმეში ბევრმა მოითბო ხელიო, მაგრამ იმათს ვინაობას აღარ დავეძებთ. აი, ასეთს მდგომარეობაში ჩავარდნილა ქონება, აწმყო და მომავალი იმ ობლებისა, რომლებსაც ვითომ ქომაგებიც-კი ჰყავს და კიდეც ჰპატრონობენ! რა უნდა იყოს იმათი ხვედრი, რომლებიც ღვთის ანაბარად რჩებიან და შიმშილითა და სიცივით ლამის სული დალიონ?

ცხოვრების მოთხოვნილებამ ჩვენში ძლიერ იმატა, სიმდიდრე-კი კლებულობს. შრომა-ჯაფა გაორკეცდა და ამ ბოლოს დროს სიკვდილიც გახშირდა. ძლიერ ბევრს ვხედავ ობლად რომ რჩებიან და პატრონი-კი აღარავინა სჩანს; ვინ იცის, ვინ მიათრევს იმათს ისედაც მცირედს მამულ-დედულს?!. დამაფიქრებელი და გამამწარებელია ასეთი ამბები და აღარც ის ვიცით, როდის გასწორდება მრუდე გზა, როდის გაიწმინდება ცუდად ნახნავ ნაფარცხი!

„კეთდებოდეს—შეეწიე, იქცეოდეს—შეესიეო“, საუბედუროდ ობლებს თურმე ბევრი ამ თვალით უყურებს. 19 იანვარს ამ ობლის ეზო-მიდამოს საყანედ ჰკაფავდა გლეხი ნ. ჩ—ძე; მიუვარდა ალექსანდრე ჩხაიძე და ერთი კორიანტელი აუყენა. „ტურამ ფოთოლო გამოთხარა და მაჩვმა წაართვაო“, აგი დამემართაო; ჰყვიროდა ალექსანდრე“: ჩემდა მინდოდა საყანეთ, ამიზა ვიკალი თივი და ახლა აგი მართმევსო“. ან პირველს რა უნდოდა, ან მეორეს? აშკარაა, რისი მზრუნველიც ყოფილა ეს კაცი.

სხვა მაგალითები აღარ მომყავს. ასეთი ამბები, როგორცა სჩანს, სხვაგანაც ყოფილა, რასაც მთავრობის რევიზია ჰმოწმობს. შარშან 14 დეკემბერს ბატონმა ქუთაისის გუბერნატორმა დაუგზავნა მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუამავლებს საყოველთაო მიწერილობა *), (ცირკულიარი 14 დეკ. 1899 წ. № 10,005) რომელიც შეეხება სოფელთა საჭირ-ბოროტო საგანს: გლეხებში სხვა და-სხვა გარდასახადთა აკრეფას და ობლების საქმეს. როგორც ბ-ნი გუბერნატორი ჰბრძანებს, იგი დარწმუნებულა, რომ ხშირად ორივე ეს საქმე უწესრიგოდ სრულდება სოფლის მოხელეების მიერ. ბ ნი გუბერნატორი უწოდებს ამას სამწუხარო მოვლენას და სთხოვს მაზრის უფროსებს და მომრიგებელ შუამავლებს, მიაქციონ ყურადღება სოფლის მოხელეთა მოქმედებას და წარმოუდგინონ მას ამ წლის აგვისტომდე ანგარიში. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები, როცა სადმე ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდება, სოფლის მოხელეებთან ერთად თქვენც მოგთხოვოთ პასუხიო,—სწერს ბ-ნი გუბერნატორი. აღნიშნულია, რომ ყველა ობლის ქონება და მზრუნველების მოქმედება წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ უნდა შემოწმებულ იქმნას ამ საერთო მზრუნველების მიერო. ნეტავი რას იტყვიან ისინი, ვინც ათი წელიწადია სახელებს ატარებენ, საქმე-კი სხვაგან გაუშვიათ და თუ ათის წლის განმავლობაში ერთხელ ერთის ობლის ქონება იანგარიშეს, ისიც უთუოდ მრუდეთ?

ვითვალისწინებ ჩემი სოფლის საქმეებს და უნებურად მაგონდება პოეტის სიტყვები:

„მელა მექათმედ დამდგარა,
მწყემსობას ჩემობს მგელიო,
ეშმაკი ეშმაკს პატიჟობს
სასუფეველში გელიო“.

მაინც იმედს ნუ დავკარგავთ და ვისურვოთ: მოვსწრებოდეთ და გვენახოს უფრო სწორი გზა, მეტი საქმე, ნაკლები ჭორები, ობოლთა და იმათ ქონებათა მეტი შებრალება, განკითხვა და დაზოგვა იმათსავე აღსაზრდელად და საკეთილოდ.

ვ. სეფისპირელი

*) იხილეთ „Кут. Губ. Вѣд.“, № 1, 1900 წ.

# რუსეთი

სახალხო განათლების სამინისტროში ამ ჟამად განსაკუთრებული კომისია სდგება. კომისიას მინდობილი ექმნება გამოსაცდელ წესების შედგენა იმათთვის, ვისაც ჰსურთ ხატვის მასწავლებლის ხარისხი მიიღონ. ასეთ მასწავლებლობის ნება ექმნებათ როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებსაც. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სახალხო განათლების სამინისტროს სამრეწველო სასწავლებელთა განყოფილების გამგე ი. ა. ანოპოვი.

— შარშან შემოდგომაზედ საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის კონფერენციას მიენდო იმის გადაწყვეტა, შეიძლება თუ არა ამ აკადემიაში მიღებულ იქმნან რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულნი ისევე, როგორც დღეს გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთ იღებენ. კონფერენციას, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ საქმის გამო მუშაობა უკვე დაუმთავრებია, შეუდგენია განსაკუთრებული მოხსენება და ეს მოხსენება სახალხო განათლების სამინისტროსათვის გადაუცემია განსახილველად და თავისის აზრის გამოსათქმელად. კონფერენციას საჭიროდ უცვნია ამ შემთხვევაში რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ ისეთივე უფლებანი მიენიჭოთ, როგორიც გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთა აქვთ, და პირველნი ისევე იქმნან მიღებულნი აკადემიაში, როგორც მეორეებს იღებენ. ამასთან რეალურ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულმა ეგზამენი ლათინურ ენაში უნდა დაიჭიროს მხოლოდ, ბერძნულ ენისაგან-კი განთავისუფლებულ იქმნებიან. თუმცა კონფერენციას ლაპარაკი არა ჰქონია იმის შესახებ, მიღებულ იქმნენ თუ არა სხვა სასწავლებლებშიაც სწავლა-დამთავრებულნი, როგორც, მაგალითად, სასულიერო სემინარიებსა და სამხედრო სასწავლებლებში, მაგრამ ამბობენ, ეს საქმე მალე იქმნება აღძრულიო.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო ამ ზაფხულს ღარიბებმა უსასყიდლოდ ისარგებლონ სამკურნალო წყლებით პიატიგორსკსა, ესსენტუკსა, ჟელეზნოვოდსკსა და კისლოვოდსკში. ღარიბებმა პოლიციისაგან სიღარიბის მოწმობა უნდა წარადგინონ.

— რუსეთის სათეატრო საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებას ნება მიეცეს თვალ-ყური ადევნოს სათეატრო საქმეს რუსეთში, და ამისათვის თხოულობს საბჭოს ბიუროში რუსეთის ყველა კუთხიდგან იგზავნებოდეს საჭირო ცნობანი თეატრის საქმეთა შესახებ.

— 27 აპრილს იმპერატორის ალექსანდრე I-ის სახელობის გზათა ინჟინერის ინსტიტუტის მე-5 კურსზედ დაიწყო გასათავებელი ეგზამენები. ეგზამენები 27 მაისამდე გასტანს. სულ წელს ამ ინსტიტუტში 150 კაცი ამთავრებს სწავლას.

პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად ის ექმნება, რომ აღმოსავლეთის ხალხთა შორის გაავრცელოს სწორე და ნამდვილი ცნობები რუსეთის შესახებ და ეცადოს რუსეთისა და აღმოსავლეთის ხალხთა დაახლოვებას. საზოგადოებას აარსებს რომში მყოფი რუსეთის ელჩი ა. ი. ნელიდოვი, ყაზანის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსი გენერალ-ადიუტანტი გ. გ. მეშჩერინოვი, რუსეთის საარქეოლოგო ინსტიტუტის დირექტორი თ. ა. უსპენსკი, საიმპერატორო ერმიტაჟის გამგე ა. გ. მარკოვი და სხვანი. საზოგადოებას აზრად ექმნება უპირველეს ყოვლისა გამოიკვლიოს ეკონომიური მდგომარეობა აღმოსავლეთის ხალხთა. გამართავს იგი ამასთან მუზეუმსა, კურსებს აღმოსავლეთ ენებისას და სხვას.

# უცხოეთი

**პორტუგალია.** როგორც ვიცით, პორტუგალიის მთავრობამ ნება დართო ინგლისს თავისი ჯარები გადაეყვანა ბეირიდან ბეირაში და იქიდან როდეზიამდე მისს სამფლობელოზე გაეტარებინა. პორტუგალიის ასეთმა საქციელმა მთელი ქვეყნიერება გააკვირვა, მით უფრო, რომ სამხრეთ-აფრიკაში ომის დაწყების შემდეგ პორტუგალიის მთავრობამ რამდენჯერმე განაცხადა პარლამენტში, რომ ჩვენ არც ერთს მხარეს არ მივემხრობითო. ეხლა-კი ეს აღთქმა დაარღვია მთავრობამ, მაგრამ უამისობა არ იქნებოდა თურმე. საქმე ის არის, რომ, როგორც გამოაშკარავდა, პორტუგალიის მთავრობას პირობა მიუცია ინგლისისათვის 1891 წელს, რომ, როცა საჭირო იქნება, ჩემს სამფლობელოზე (აფრიკაში) ჯარების გატარება არ დავიშალო როდეზიამდე. პორტუგალიის კონსტიტუციის ძალით, სანამ რაიმე ხელშეკრულება დაიდებოდეს უცხო სახელმწიფოსთან, ჯერ პირველად პარლამენტმა უნდა მოიწონოს იგი. მიუხედავად ამისა, პორტუგალიის მთავრობას საიდუმლოდ შეუნახავს ინგლისთან დადებული ხელშეკრულობა და ამის შესახებ არც ერს და არც პარლამენტს სრულებით არა სცოდნია-რა. მთავრობის ასეთმა საქციელმა საშინლად აალელვა მთელი პორტუგალია. როგორც გაზეთები იუწყებიან, ხალხის უკმაყოფილებას პორტუგალიაში არასოდეს არ მიუღწევია ასეთს უმაღლეს წერტილამდის: ლისაბონსა და პროვინციებში ათი-ათასობით ხელს აწერენ თურმე ადრესს, რომელშიაც საშინლად არის გაკიცხული სამინისტრო. რატომ შეარცხვინეთ პორტუგალია მთელი ქვეყნის თვალში ინგლისისათვის უსამართლო პირობის მიცემითო?—სწერია თურმე ადრესში. მაგრამ რადგან ამგვარი სიტყვებით გაფუჭებული საქმე აღარ გამოსწორდება, პორტუგალიელები რაზმებს ამზადებენ თურმე ბურების მისაშველებლად.

**შეერთებული შტატები.** გაზეთების სიტყვით, შეერთებულ შტატების პრეზიდენტის არჩევნებზე დიდი გავლენა ექნება სამხრეთ აფრიკის ომს. თითოეული კანდიდატი იძულებული იქნება განაცხადოს ინგლისის მომხრეა, თუ წინააღმდეგი. ირლანდიელ და გერმანელ ამომრჩევლებს შეუძლიანთ, საითაც სურთ, იქითკენ გადასწყვიტონ საქმე და ისინი ყველანი ბურების მომხრეები არიან. დასახელებულ კანდიდატთა შორის, ყველასთვის ცხადია, რომ მაკ-კინლეი ინგლისის მეგობარია. ადმირალ დევეისაც გამოუცხადებია, რომ ინგლისს თანაუგრძნობო. რაც შეეხება მესამე კანდიდატს—ბრაიანს, იმას აი რა უთქვამს: „პირადათ მე არავითარი მტრობა არა მაქვს ინგლისთან, მაგრამ ბურებს-კი თანავუგრძნობ, როგორც კუბელებს თანავუგრძნობდი, როცა მათ ესპანელები აწიოკებდნენ. მე ანგლოფობი არა ვარ, მაგრამ ამერიკანოფილი-კი ვარო“. ეს სიტყვები გარკვეულს არაფერს არ წარმოადგენს, ამიტომ ჰფიქრობენ, რომ ბრაიანი ბურების თანამგრძნობლად იმიტომ ასახავს თავისს თავს, რომ ამომრჩევლებზე გავლენა იქონიოს, და როცა სამხრეთ აფრიკაში ომი გათავდება, ინგლისის წინააღმდეგ აგიტაციას ნიადაგი აღარ ექნება შეერთებულ შტატებშიო. თუ ომი გაგრძელდა, ყველანი იმ აზრისა არიან, რომ რესპუბლიკანელების კრება, რომელიც ივნისში მოხდება, ბურების სასარგებლო განაჩენს დაადგენს, რათა ამით შეასუსტოს დემოკრატების კრების ამგვარივე განაჩენის გავლენა ხალხზე. მოწინავე კაცები რა მოსაზრებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ, ეს კი ცხადია, რომ შეერთებულ შტატების მცხოვრებთა უმრავლესობა ბურებს თანაუგრძნობს.

# დაჰკვირდი

დედები ჩვენს გულს ათბობენ, მამანი—ანათებენ.

ჟან-პოლი

* * *

ფრანგი საქმეში არწივია, გერმანელი—დათვი, იტალიელი—მელა, ესპანელი—სპილო, ინგლისელი ლომი.

ვანდერ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

სამხრეთ უნგრეთის ქალაქ ლიგეტში, როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, ადგილობრივ ქალებს შორის მეტად უცნაური და ამასთან მამაკაცებისათვის დიდად მავნე „სენი“ გავრცელებულა. ამ ბოლოს დროს საოცრად გავრცელდა თურმე ლიგეტში ქმრის მოკვლა. ერთსა და იმავე დღეს ამ ქალაქში რვა ქალი დააპატიმრეს, რომელთაც თავიანთის ქმრების მოწამვლა ჰბრალდებათ. ამბობენ, კიდევ ბევრს უპირობენ დაპატიმრებას ასეთის დანაშაულობისთვისაო. ღმერთმა ნუ ჰქმნას, ეს „სენი“ ჩვენშიაც გავრცელებულიყოს.

* * *

მეტად უცნაური და თავისებური ხალხია ეს ჩინელები. ჰლამის არის ევროპის სახელმწიფოებმა დააქუცმაცონ უზარ-მაზარი ჩინეთი და ერთმანეთს შორის დაიყონ, მაგრამ ჩინელები მაინც არ აპირობენ თვალის გახელას და ევროპის გაცნობას. ჩინური გაზეთები ხშირად სწერენ ხოლმე ევროპიელთა შესახებ, მაგრამ ამ ნაწერებში სიმართლეს იშვიათად შეჰხვდებით. აი მაგალითად, როგორც ფრანგული გაზეთი „La Fronde“ გადმოგვცემს, ერთს ჩინურს გაზეთში რა სწერია რუსეთის ჯარის შესახებ: „რუსეთის ჯარი დაქირავებულ კაცებისაგან შესდგება. ჩვენ ეს ჯარი ჩინეთში დავიბარეთ იაპონელებისაგან ლიანტუნის პროვინციის დასაცველად. რუსნი მეტად ბრიყვნი არიან, იმათ ჩვენი ხასიათი სულ არ იციან, ამიტომ დავიქირავეთ იმათი ჯარი პროვინციის დასაცველად იაპონელებისაგან. იაპონელებიც თუმცა რუსებივით ბრიყვნი არიან, მაგრამ ამასთან მათ ეშმაკობა არ აკლიათ. ასეთ ბარბაროსთა წინააღმდეგ დავიქირავეთ ბარბაროსებივე, რუსები, რომელთაც ცოტაოდენი სამხედრო მოხერხება და ეშმაკობა შევასწავლეთ. ამიტომ ჩვენმა ხალხმა რუსების აქ ყოფნას ყურადღება არ უნდა მიაქციოს. თუ რუსები მავნებელნი გამოდგებიან, მაშინვე კარებს უჩვენებთ და სრულიად გავდევნით ჩინეთიდგან“.

* * *

თუ რამდენად მოხერხებული და ეშმაკი ხალხია პარიჟელი მკურნალები, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს, რომელსაც ფრანგული გაზეთები გადმოგვცემენ. პარიჟში სცხოვრობს ერთი ბარონესსა. ეს ერთი წელიწადია თურმე, რაც ბარონესსას საშინელი თავის ტკივილი დასჩემებია. ბარონესსას მკურნალი ბ. მიუწვევია. გაუსინჯნია რა ავადმყოფი და დაუთვალიერებია რა სადგომი, მკურნალს უთქვამს: თქვენის თავის ტკივილის მიზეზი ეს ამერიკული ლუმელია. სანამ ღუმელს არ გაიტანთ საწოლ ოთახიდგან, მანამ თავის ტკივილისაგან ვერ განთავისუფლდებით. ღუმელის წყალობით ოთახი სხვა და სხვა მავნე გაზებით ივსება და თავი ამ გაზებისაგანა გტკივათ. უეჭველად დღესვე ან ხვალვე ღუმელი უნდა გაიტანოთ აქედგანაო.—გატანა არაფერია, მაგრამ მეტად ძვირად მიღირს ეს ღუმელი,—120 ფრანკი მივეცი,—და ეხლა ამდენი ფული როგორ დავკარგოო, შესჩივლა თურმე ბარონნესამ. რას იზამთ!—უთქვამს მკურნალს,—ჯანმრთელობა ამას მოითხოვს. თუ გნებავთ მე დაგეხმარებით. გნებავთ 40 ფრანკს მოგცემთ მაგ ღუმელში? მერე როგორმე გავასაღებ. ბარონესსა დათანხმებულა. მკურნალს მეორე დღესვე კაცები გაუგზავნია და წაუღია ღუმელი. რამდენისამე ხნის შემდეგ ბარრონესა ახალის სადგომის ძებნას შესდგომია. ერთ მშვენიერ სახლში შესულა, დაუთვალიერებია ოთახები და გაკვირვებულს ერთს ოთახში თავისი ღუმელი კი უნახავს. ბარონესსას უკითხნია, ვისია ეს სახლიო. „ცნობილი მკურნალის ბ—აო“, მიუგია მოახლეს.

* * *

ამ ბოლოს დროს ინგლისის მანდილოსნები ჩვეულებრივ ოქროს ბეჭდებს მაგრე რიგად აღარ ატარებენ თურმე. ოქროს ბეჭდების ნაცვლად ახალ მოდის ბეჭდებს იგონებენ. ერთი მანდილოსანი, მაგალითად, თითზედ იმ ტყვიისაგან გაკეთებულ ბეჭედს ატარებს, რომლითაც ახალგაზდობაში იმისი ქმარი დაუჭრიათ ომში. მეორე მანდილოსანს ლომის ძვლის ბეჭედი აქვს. ეს ლომი იმის ქმარს მოუკლავს ინდოეთში. მესამე ქალს მედალისაგან გაკეთებული ბეჭედი აქვს. მედალი იმის ქმარს ყირიმის ომში მიუღია.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

**ოდესსა.** აქ მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

**მოსკოვი.** მოსკოვის მახლობლად თავად ლიევენის მამულში არსდება ახალშენი დედ მამის მიერ უპატრონოდ დატოვებულ ბავშვებისათვის. თავადი ლიევენი მიწასა სწირავს, ხოლო გრაფი ორლოვ-დავიდოვი— ფულს შენობის ასაგებად.

**ლონდონი.** კრონშტადტიდგან იუწყებიან 14 მაისს, რომ ლინდლეეში ბურებს სამხედრო თათბირი ჰქონდათო. ბურებმა გადაწყვიტეს ჯერ არ დაუთმონ მტერს გარისმიტი და რაც შეიძლება დიდხანს გამაგრდნენ იქაო.

ლორენცო-მარკეზიდგან დეპეშით ატყობინებ „Daily Mail“-ს, რომ, როგორც პრეტორიიდგან იუწყებიან, კვირას დილით, ბადენ-პოუელმა მეფკინგი გადასცა ბურებსაო. სნეიმანი იუწყება, რომ ბადენ-პოუელი და 900 კაცი ტყვედ იქმნა წამოყვანილიო.

**ნიუ-იორკი.** ბურების მისიის მოსვლის დროს დეპუტაციის ორატორმა სთქვა, რომ ნიუ-იორკის კომიტეტი ეცდება მისიის ნიუ-იორკში ყოფნა სასიამოვნო და სასარგებლო ჰყოს მათ სამშობლოსათვისაო. მისსიის წევრმა ფიშერმა განაცხადა, იმედი მაქვს, რომ ამერიკა სამედიატორო სასამართლოს როლს იკისრებს. ვეცდებით ამასთან მაკ-კინლეიმ მიგვიღოსო. თუ მისსია მთავრობას ვერ დაიყოლიებს და ვერ გააკეთებინებს იმას, რაც მისსიისათვის სასურველია, მაშინ იგი ეცდება ამერიკის ხალხს მიჰმართოს, რათა ხალხმა ძალა დაატანოს მთავრობას, რომ საქმეში ჩაერიოს.

**ბრანდფორტდრიფტი.** ლედიბრანდის ოლქი გაწმენდილ იქმნა მტრისაგან. მტერი ლინდლეიში წავიდა.

**ლონდონი.** „Daily Mail“ს დეპეშით ატყობინებენ, რომ შაბათს მეფკინგთან მეტად ცხარე ბრძოლა მოხდაო; ბურებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქს. ჰფიქრობენ, რომ ეს ბრძოლა მეციხოვნეთა დამარცხებით დასრულდა. მალე კაფრების უბანს ცეცხლი წაეკიდა. ბურებმა ისარგებლეს არეულობით და დაიჭირეს კაფრების უბანი. მეციხოვნენი მოხერხებულად მოიქცნენ და გარს შემოერტყნენ კაფრების უბანში მყოფ ბურებს, დაიწყო ცხარე ბრძოლა. როგორც უკანასკნელად მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურებს ჯერ კიდევ ეჭირათ ქალაქი, მაგრამ ჯარი უთუოდ შემოერტყა მათ.

ბურების მომხრე დასმა, ლორენცო-მარკეზეში გაავრცელა ტყუილი ხმა, ვითომ შაბათს მეფკინგის კაფრთა უბანში, როდესაც ბურებმა იერიში მიიტანეს, ცეცხლი გაჩნდა და შემდეგ ქუჩებში ბრძოლა გაიმართაო. ბადენ-პოუელმა მოითხოვა ბრძოლა შეჩერებულ იქმნას და შემდეგ დაემორჩილა მტერსაო. პრეტორიიდგან ლორენცო-მარკეზეში მოსულმა ბურებმა თან მოიტანეს შემდეგი დეპეშა სნეიმანის ხელ მოწერილი: „ბედმა წილად მარგუნა ბადენ-პოუელისა და 900 კაცის ტყვედ ჩაგდება“. „Daily Mail“ს კორესპონდენტი უმატებს, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ცხარე ბრძოლა მოჰხდა და კაფრთა უბანი მტერმა დაიჭირა, მაგრამ ასეთ დეპეშებს ხომ ლედისმიტისა და ეპენერის შესახებაც ჰგზავნიდნენ. ამით ბურებს უთუოდ უნდათ გაამხნევონ ბურგერები და მათ შორის ერთობა დაამყარონო.

**ლონდონი.** ნაშუადღევის 2 საათამდე არავითარი ამბავი არ მოსულა მეფკინგის დაპყრობის შესახებ.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იუწყება: „გლენკო დავიჭირეთ, ტრანსვაალელი ბურები ბიგგრის მთებს გაეცალნენ. დრაკენის მთებში ორანჟიელ ბურების რიცხვი მეტად შემცირდა. გლენკოში 11 ზარბაზანი მივიტანეთ. ეხლა მატარებლები სადგურ ვესსელნეკამდე დადიან.“

**ლონდონი.** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, 2 მაისამდე ინგლისელებმა 18,799 კაცი დაჰკარგეს. ამათ რიცხვში არ ითვლებიან საავადმყოფოებში მყოფნი ავად-მყოფნი და დაჭრილნი.

**აკკრა.** კუმისსის გუბერნატორი იუწყება, რომ თუ დაუყოვნებლივ დახმარება არ აღმომეჩინა, იძულებული ვიქმნები კუმისსის გარშემო რკალსავით შემორტყმული ჯარი გავაპო და გზა ისე გავიკვლიოო.

4 მაისი.

**კრონშტადტი.** ორი აფიცერი და ექვსი კაცი ცხენებისათვის საკვებს ეძებდენ კრონშტადტის მიდამოებში, როდესაც ფერმას მიუახლოვდნენ, რომელზედაც ოთხი ბაირაღი იყო გამოკიდული, 15 ჩასაფრებულმა ბურმა თოფის სროლა დაიწყო. ორი ჯარის-კაცია მოკლული და ერთი აფიცერი დაჭრილი, სხვები ტყვედ წაიყვანეს.

**დენდი.** უკან დაბრუნებული ბურების რიცხვი 4,000-ია, თან წაიღეს 18 ზარბაზანი და სურსათის ურმები.

**ბერლინი.** რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ ფლოტის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა უკვე დაასრულა და დაადგინა, რომ კანონ-პროექტი იმ პროექტთან ერთად უნდა იქმნას გაყვანილი, რომელიც იმპერიის საგერბო და საბაჟო გადასახადს შეეხებაო, რომელმაც ხარჯი უნდა დაჰფაროსო.

**ვაშინგტონი.** სამინისტროში ჯერ არა იციან-რა იმის შესახებ, რომ ლორენცო-მარკეზეში ამერიკის დამარილებული ხორცი დაიჭირეს. მთავრობის აზრით ამას უფლება მხოლოდ პორტუგალიასა აქვს და თუ ამის წინააღმდეგ ამერიკის ელჩი განაცხადებს წინა ღმდეგობას მაშინ მომხრეობას არავინ აღმოუჩენსო.

**ლისაბონი.** გარეშე საქმეთა მინისტრი უარ ჰყოფს იმ ცნობას, რომ ტრანსვაალის მთავრობამ წინადადება დაედვას პორტუგალიის ელჩისა. თვის ტრანსვაალი დასტოვეთო.

—***—

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმესს მადლობას ვუცხადებ ქ-ნს მარიამ იორაშვილისას, წითლიძის ასულს, რომელმაც არ დაზოგა თავისი შრომა და თავისს ნაცნობთა შორის ქ. ბათუმში შეჰკრიბა 89 მან. და 50 კაპ. ჩემდამო რწმუნებულ მიქელ-გაბრიელის უსასყიდლო დარიბ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, რაც უკვე მივიღე.

აი სია შემომწირველთა: გინატრე მეგრელიძემ 5 მ., დიმიტრი გუჯაბიძემ 5 მ., ვარდო ბოლქვაძის ასულმა 2 მან., მარიამ კაკაბაძისამ 2 მანათი, ეფროსია ნე გიგინეიშვილმა 2 მ., მარიამ ხარაბაძისამ 2 მ., ანტონ იმნაძემ 2., მარიამ დათეშიძემ 1 მ., ივანე შაფათავამ 1 მ., თამარა თავართქილაძისამ 1 მ., ვლადიმერ ვოლკოვმა 1 მ., ვასილ ჩიტაიშვილმა 1 მ., ივანე ჰყონიამ 1 მ., ნიკო ცეცხლაძემ 1 მ., ევგენი ადამიამ 1 მ., № 1 მ., თომა კვაჰანტირაძემ 1 მ., სილევან მუჯირმა 1 მ., ვანო იმნაძე 1 მ., სპირდონ გურგენიძემ 1 მ., ნიკოლოზ ღლონტმა 1 მ., სერგი იმნაძემ 1 მ., პელაგია ლომინაძისამ 1 მ., მასწავლებლებმა 1 მ., იოსებ კალანდაძემ 1 მ., ივანე თავართქილაძემ 1 მ., ამბაკო ღლონტმა 1 მ., მარო გუგუშვილისამ 1 მ., იაგორ ურუშაძემ 1 მ., ივანე გარაყანიძემ 1 მ., თედორე მაქაცარიამ 1 მ., იულო შარაშანიძემ 1 მ., ივლიანე ლომინაძემ 1 მ., ნიკო ჯაყელმა 1 მ., მღ. სიმონ თოთიბაძემ 1 მ., ანეტა დოლიძისამ 1 მ., ვლადიმერ ქადიეშვილმა 1 მ., დიომიდე მამალაძემ 1 მ., სერგი ქარცივაძემ 1 მ., აბდულ დიასამიძემ 1 მ., ყარამან ბერძენიშვილმა 1 მ., ლავრენტი ხუნგიამ 1 მ., ლასა სარჯველაძემ 1 მ., ლავრენტი ბოლქვაძემ 1 მ., ნიკიფორ ტუსკიამ 1 მ., ალექსანდრე გიგაშვილმა 1 მ., გრიგორი ტახტაჯიანმა 1 მ., გიორგი კუკლაძემ 1 მ., ფატი შავარდნაძისამ 1 მ., დავით მესხიშვილმა 1 მ., ვლადიმერ ქუთათელაძემ 1 მ., ათანასე თოფურიამ 1 მ., დიომიდე შილაკაძემ 1 მ., ლუკა გორდელაძემ 1 მ. 50 კ., ატატო კაკაბაძემ 1 მ. 50 კ., გერმან გოგიტიძემ 1 მ. 40 კ., ვასილ თაყაიშვილმა 60 კ., ლევან იმნაძემ 50 კ., სტეფანე კაკაბაძემ 50 კ., ანტონ მუჯირმა 50 კ., ილარიონ სიხარულიძემ 50 კ., პორფილე ჩიტაიშვილმა 50 კ., ლიზა გოგორიშვილისამ 40 კ., ივლიანე ტოკვმა 40 კ., ალექსი ოთხმეზურმა 40 კ., მასიკო ასამბაძემ 40 კ., მარიამ მიქელაიშვილისამ 30 კ., ილია გორდელაძემ 30 კ., ერმილე ჯავახაძემ 30 კ., ყარამან დათიშიძემ 20 კ., ვასილ სირაძემ 20 კ., არტემ სარქისოვმა 20 კ., აქვსენტი ჩაგანავამ 20 კ., კოწია თავართქილაძემ წიგნებად 10 მ. 70 კ., სიო თავართქილაძემ წიგნებად 1 მ. 50 კაპ.

ზედამხედველი სკოლისა და სამკითხველოს გამგე მოსე მეგრელიძე.

## შემოწირულება

რედაქციამ ბ-ნ ისაია ფურცელაძისაგან ხუთი თუმანი მიიღო ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი**

5 მაისი

საქმე სერაფიონ თალაკვაძისა, რომელსაც პოლიციის ბოქაულის თანაშემწის სოსიეს წინააღმდეგობა ედება ბრალად.

საჩინო საჯაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 9, მე-1459 მუხ. მე-2 ნაწ. და მე-1630 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

გლახუნ და ყაისარ ღლონტისა, რომელთაც აქციზის მოხელისა და იმისს დარაჯთა ცემის ბრალი ედება.

ვარლაამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენის ბრალი ედება.

ერმილე ეფრემიძისა, რომელსაც გატაცების ბრალი ედება.

8 მაისი

საქმე სევერიანე კებხინაძისა და ნესტორ ტყეშელაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე-1651 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ალექსი გოგიასი, რომელსაც სასჯ. დებ. 1453 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის კუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხაბზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—97)

ამა წლის პირველ აპრილიდგან

დოქ. ქართველიშვილის

ივერიის თიპოგრაფია

ფასი თავზე 90 კაპ. ... (10—5.—8)